პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!



წითელი მხედარი

1923
აგვისტო
31
პარასკევი
მზე ამ. 4 ს. 15 წ.
მზე ჩ. 7 ს. 10 წ.
შესან. მოვლენათა დღიური

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სახალხის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 1 მილ. მან.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 354 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 50,000 მანეთი. № 354

ვემზადოთ ორი სექტემბრისათვის.

ორი სექტემბერი საერთაშორისო რევოლიუციონური ახალგაზრდობის დღესასწაულია.

ამ დღეს ყველა ბურჟუაზიული ქვეყნების პროლეტარული ახალგაზრდობა მოახდენს თავის ძალების დემონსტრაციას, დაათვალიერებს თავის მებრძოლ რიგებს და მედგრად აღიმაღლებს საპროტესტო ხმას ფაშიზმის და იმპერიალიზმის ძალადობის წინამდეგ.

კაპიტალიზმმა თავისი ექსპლოატაციის უღელის ქვეშ მოაქცია არა მარტო მრავალ მილიონიანი ლაშქარი მოზრდილი პროლეტარებისა და მუშა ქალების, მან აგრეთვე თავისი მონების და სიმდიდრის გასადიდებლად არ დაზოგა არც ახალგაზრდა პროლეტარები. ამიტომაც რევოლიუციონურ მოძრაობის ერთ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად დღეს გამოდის პროლეტარული ახალგაზრდობა.

ისიც თავის უფროს ძმებთან ერთად ებრძვის იმპერიალისტურ ბურჟუაზიას და ემზადება გადამწყვეტი ბრძოლისათვის კაპიტალიზმის დასამხობათ. მრავალი ახალგაზრდა ბელადები დღეს იმყოფებიან ციხეებში და მრავალი მათგანი დაიღუპა რეაქციასთან ბრძოლის დროს.

აღსანიშნავია ის, რომ დღეს მთელ მსოფლიოში ახალგაზრდა პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობა მიდის ახალგაზრდათა კომინტერნის ხელმძღვანელობით. ეს კი უტყუარი გარანტიაა იმის, რომ სოციალისტური რევოლიუცია გაიმარჯვებს ევროპაში.

ორ სექტემბერს აგრეთვე იდღესასწაულებს საბჭოთა ქვეყნების ახალგაზრდა კომუნარებიც რასაკვირველია ჩვენი კომუნისტური ახალგაზრდობა ამ დღესასწაულს დიდი ზეიმით ჩაატარებს და თავისი აღფრთოვანებული რევოლიუციონური ხმით გაამხნევებს ევროპის დაჩაგრულ ახალგაზრდობას. ამასთანავე ერთად, ორი სექტემბერი უნდა გახდეს ჩვენი ახალგაზრდობის და წითელი ჯარის დაახლოების დღეთ.

წითელი არმია—არის ძალა, რომელიც იცავს საბჭოთა ქვეყნების მშვიდობიან ცხოვრებას. სანამ არსებობს კაპიტალიზმი, მანამ იარსებებს წითელი არმიაც. მისი რიგები მუდამ და ყოველთვის შეივსება მშრომელი ახალგაზრდობით. ამიტომაც აქედანვე უნდა გაეცნოს კომუნისტური ახალგაზრდობა ჩვენი არმიის ყოფა-ცხოვრებას და მის მუშაობას, აქედანვე უნდა შეიგნოს მისი დიადი მნიშვნელობა, რომლის რიგებში ის ამხედრებულ რევოლიუციონურ ახალგაზრდობასთან ერთად იბრძოლებს კაპიტალიზმის დასამხობად.

მაშასადამე, ორი სექტემბერი ღირსეულად უნდა ვიზეიმოთ წითელ ახალგაზრდობასთან ერთად.

„დიდი“ კოალიციის შედეგები.

14 აგვისტოს, რეიხსტაგის „საზეიმო“ სხდომის დღეს, როდესაც შტრეზემანი უნდა გამოსულიყო მოხსენებით თავის მომავალ პოლიტიკის შესახებ, გერმანელ კომუნისტმა კენენმა შეიტანა რეიხსტაგში ორი განცხადება: განსაკუთრებულ კანონის გაუქმება, რომლის ძალით უკვე სამი დღეა კონფისკაციას უშვებიან გაზეთ „როტე-ფანეს“-ს („წითელი დროშა“, გერმანიის კომ. პარტიის ორგანოა), და იმ დადგენილების გაუქმება, რომლის ძალით აკრძალულია ქუჩებში დემონსტრაციების მოწყობა და ღია ადგილებზე კრებების მართვა. ეს კანონი გამოცემული იყო ერთი კვირის უკან და რეიხსტაგის კომუნისტური ფრაქცია მოითხოვდა მის გაუქმებას, რადგანაც ეს არის მიმართული მუშათა კლასის წინააღმდეგ. როგორც ყოველთვის, წინადადებას კენჭი უყარეს. რა თქმა უნდა მთელი რეიხსტაგის მიერ წინადადება უარყოფილი იქნა; წინადადებას ხმა მისცეს მხოლოდ კომუნისტებმა და ლიდერებმა. არც ერთ „მემარცხენე“ სოციალ-დემოკრატს არ დაუჭერია მხარი კომუნისტების წინადადებისათვის. „კოალიციის პოლიტიკის პირველი შედეგები!“ ადგილიდან უძახის კომუნისტი გელლეინი სოციალ-დემოკრატებს.

ჩვენ ვიცით რას წარმოადგენს შტრეზემან-გილფერდინგის მთავრობა. ეს კარგად იცის გერმანიის პროლეტარიატმაც. პირველი ნაბიჯები ახალ მთავრობისა მიმართულია მუშების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში შტრეზემანის კაბინეტი არაფრით განსხვავდება კუნოს კაბინეტისაგან. ერთიც და მეორეც სისხლს სწოვდა გაღატაკებულ, დაბეჩავებულ გერმანიის პროლეტარიატს და მის ხარჯზე ცდილობენ შეუთანხმდენ საფრანგეთის იმპერიალისტებს და გამოიყვანონ გერმანია კატასტროფიულ მდგომარეობიდან.

შესძლებს თუ არა შტრეზემანი საფრანგეთთან შათანხმებას და გერმანიის ფინანსიურ საქმის მოგვარებას—ამას მომავალი დაგვანახვებს. დღეს კი ერთი რამ ნათელია: ყველაფერი გერმანიის პროლეტარიატის ანგარიშზე მოხდება. 2) გერმანიის მუშათა კლასის მდგომარეობა კი დღითი-დღე უარესდება. ბურჟუაზია მიმართავს ყოველგვარ საშუალებას ქპროლეტარიატის წინააღმდეგ საბრძოლველად. უკანასკნელი ცნობით „როტე ფანეს“ კვირის ნომერს კიდევ კონფისკაცია უყვეს. ამავე დროს გერმანიის მთელ რიგ ქალაქებში აკრძალეს კომუნისტურ პარტიის გაზეთების გამოცემა.

მთელ გერმანიაში სასტიკ ზომებს მიმართავენ კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ. ბურჟუაზია სოციალ-დემოკრატიასთან ერთად ცდილობს კომუნისტურ პარტიის განადგურებას. მაგრამ კომუნისტურ პარტიის რიგები საათობით იზრდება. გერმანიის ბურჟუაზია ვერ შესძლებს კომუნისტურ პარტიის განადგურებას, ამის ნებას მას არ მისცემს გერმანიის პროლეტარიატი, რომელიც დღეს თავის ინტერესების ერთად-ერთ დამცველად კომუნისტურ პარტიას სთვლის.

კოალიციის პირველი მოქმედება მიმართულია კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ.

ვნახოთ რას მოგვიტანს მომავალი.

მდგომარეობა სპარსეთში.

სპარსეთში მდგომარეობა დღითი დღე რთულდება. ინგლისელ მძარცველებს და სპარსეთის მოვაჭრე ბურჟუაზიის შორის ბრძოლა მწვავდება. ბურჟუაზია ცდილობს გაიდევნოს ინგლისელები სპარსეთიდან და ამით ხელი შეუწყოს და ნიადაგი მოუმზადოს სპარსეთის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ საქმეში მას წინ ეღობება არა მარტო ინგლისის იმპერიალიზმი, არამედ სპარსული ფეოდალებიც. ფეოდალები სპარსეთში ჯერ კიდევ საკმაო ძალას წარმოადგენენ, ისინი ცდილობენ გლეხობის კიდევ უფრო დამორჩილებას და ყოველ გვარ საშუალებას მიმართავენ, რათა გლეხობა არ ჩაითრიოს ბურჟუაზიამ ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ინგლისი დიდ დახმარებას უწევს ფეოდალებს. ფეოდალებიც თავის მხრივ ემყარებიან ინგლისის შეიარაღებულ ძალას. სპარსულ გლეხობის უვიცობაზე და რელიგიოზურ ფანატიზმზე ეყრდნობა ფეოდალ-მემამულეები და უცხოეთის ხიშტების მეოხებით ფიქრობს წინ აღუდგეს მოვაჭრე ბურჟუაზიის ცდას, რომლების სურვილია, როგორც ზევით ავღნიშნეთ ინგლისელების განდევნა, ნაციონალურ ვაჭრობა მრეწველობის გაძლიერება და სპარსეთის აწეწილ მდგომარეობის მოგვარება.

სპარსეთში დიდი ხანია სწარმოებს ეს ბრძოლა. სპარსეთის რევოლიუციონერებს ბევრჯერ აუმართავთ აჯანყების დროში ინგლისელ მოძალადეების წინააღმდეგ, მაგრამ ისინი დაარცხვენ უტაქტიკო მოქმედების გამო.

დღეს კი ეტყობა სპარსეთის რევოლიუციონერებს ტაქტიკა შეუცვლიათ და მათი მუშაობა, თუ ამ გზით წავლენ, შესაფერ ნაყოფსაც გამოიღებს. ამას წინათ სპარსეთის რევოლიუციონერებმა მოაწყეს თავრიზში ანტი-ინგლისური მანიფესტაცია. დღევანდელ დეპეშების ცნობით მოძრაობა ინგლისელების წინააღმდეგ ფართე ხასიათს ღებულობს.

შაბათს თეირანში, სპარსეთის დედა ქალაქში, გაიმართა გრანდიოზული ანტიბრიტანული დემონსტრაცია, რომელშიაც ღებულობდა მონაწილეობას 15.000 კაცი. დემონსტრანტები მოითხოვდენ ინგლისის იმპერიალისტურ პოლიტიკის სასტიკ წინააღმდეგობის გაწევას. მათ გადასცეს მეჯლისს პეტიცია, სადაც აღნიშნავენ ინგლისელების ყოვლად უმგვანო საქციელს აღმოსავლეთში. ორატორები მოუწოდებენ ინგლისის საქონლის ბოიკოტისაკენ და მოღალატეებათ აცხადებენ ყველა იმათ ვინც ინგლისის საქონელს იყიდის.

დემონსტრაცია, ლახვარის ჩაცემაა ინგლისელების ბატონობისათვის სპარსეთში. ეს მომასწავლებელია სპარსეთის ხალხის გამოფხიზლების.

ასეთ მდგომარეობის დროს რა თქმა უნდა ინგლისელებსაც არ სძინავთ. ისინი ამოძრავდენ, ამზადებენ სამხედრო ნაწილებს „თავხედ“ სპარსელების წინააღმდეგ. სპარსეთის სხვა და სხვა ადგილებში ჰაეროდრომებს აკეთებენ.

არაბისტანის აჯანყებულების წინააღმდეგ სამხედრო საჰაერო ფლოტი გაგზავნეს.

რით გათავდება სპარსეთის ხალხის ბრძოლა ინგლისელების წინააღმდეგ?

შეიძლება ჯერ ინგლისელებმა შესძლონ ხალხის მოძრაობის ჩაჩუმება.

ინგლისელები ძლიერი არიან, მოძრაობა კი ჯერ სუსტი და უორგანიზაციოა.

მაგრამ დიდ ხანს ვერ შესძლებს ინგლისის იმპერიალიზმი ხიშტებით ხალხის ნების ყოფის ჩაკვლას. შორს არ არის ის დრო, როდესაც სპარსეთის ხალხი გარეკავს ინგლისელებს თავის ქვეყნიდან და ამით საფუძველს ჩაუყრის სპარსეთის ვაჭრობა მრეწველობის აყვავების საქმეს.

ვ.

ტელეგრამები

— კომინტერნმა და პროფინტერნმა მიმართეს ღია წერილით მეორე ინტერნაციონალის აღმასკომს შეთანხმებულათ იქონიონ თათბირი გერმანიის ამბების გამო.

— კომინტერნმა და პროფინტერნმა მოწოდებით მიმართეს ყველა ქვეყნის პროლეტარიატს მხარი დაუჭირონ და დაეხმარონ გერმანიის პროლეტარიატს.

— სრულიად გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კომისიამ თავისი ცენტრი გადაიტანა ტიურინგიაში, სადაც 9 სექტემბერს მოეწყობა ფაბრიკა-ქარხნების კონგრესი.

— გერმანიაში უმუშევართა რიცხვი იზრდება საქსონიაში უკანასკნელ ერთი კვირის განმავლობაში დაიხურა 100-ზე მეტი ფაბრიკა.

— დე-ვალერა აირჩიეს ირლანდიის პარლამენტის წევრად.

კომინტერნის და პროფინტერნის ღია წერილი მე-2-რე ინტერნაციონალის აღმასკომს.

კომინტერნმა და პროფინტერნმა მეორე ინტერნაციონალის, პროფკავშირების ამსტერდამის გაერთიანების აღმასკომს მიმართა შემდეგი ღია წერილით:

გერმანიის ამბების საერთაშორისო მნიშვნელობა.

„გერმანიის ამბები საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წინაშე აყენებენ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ამოცანას.

20 მილიონი გერმანიის პროლეტარიატი ემზადება გერმანიის კაპიტალისტებსა და ანტანტის იმპერიალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. ახლო მომავალში საქმე მიდგება გადამწყვეტ ამბებზე. მომავალი ბრძოლები შეავსებენ უახლოეს პერიოდის პოლიტიკურ ისტორიას.

ეს ბრძოლა გადასწყვეტს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ბედს. გერმანიის ამბებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს გერმანიის საზღვრების გარეშეც. ყველა ქვეყნის მუშებს არ შეუძლიათ დარჩენ გერმანიის ამბების უბრალო მაცქერალათ. გერმანიის მუშების საქმე—საქმეა მთელი ქვეყნისა.“

პრესა

„რუსეთის რეაქციის კრედიტორებს“.

ოქტომბრის რევოლიუციის მიერ გარიყული ბურჟუაზია—მემამულეები დაძრწიან ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოებში და მოწყალებას თხოულობენ. სამაგიეროთ ისინი პირდებიან თავიანთ კრედიტორებს: აი დავბრუნდებით რუსეთში, დავიბრუნებთ იქ ჩვენს ქონებას და ვალებს ერთი ათად გადაგიხდითო. დღემდის ემიგრანტი-მემამულე როგორც იყო ახერხებდა წყალობის მიღებას, მაგრამ რაც დრო გადის და მტკიცდება საბჭოთა ხელისუფლება, მემამულეებსაც ცუდი დარი უდგებათ, მათ უარს ეუბნებიან მოწყალებაზე.

გაზ. „იზვესტია“-ში ამხ. ვილენსკი ეხება მემამულეების მდგომარეობას, მათ გაცრუებულ იმედებს. ამხ. ვილენსკი აღნიშნავს თუ რა დიდი როლი ითამაშა რუსეთის პურის გატანამ მსოფლიო ბაზარზე.

„რუსეთის პურის გაზიდვამ უცხოეთის ბაზარზე გამოიწვია გაცხოველებული კომპანია მემამულეთა ემიგრაციაში, პურის ექსპორტმა მოაგონა მემამულეებს ის წარსული, როდესაც ის ყიდდა რუსეთის პურს უცხოეთში და ამით სასახლეებს აშენებდა. ახლა კი რუსეთის პური იგზავნება უცხოეთში იმ მიზნით, რომ სამაგიეროთ გლეხს მიეცეს უკეთესი ტეხნიკა, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები.

„ჩვენმა გლეხმა ისწავლა თავისი ძალების შეფასება. მემამულე ჩაბარდა წარსულს, ჩვენი გლეხი მუშაობს და იმუშავებს თავისთვის, თავისი მეურნეობისა და სახელმწიფოსათვის. ყოფილი მემამულე უნდა გამოეთხოვოს წარსულის დაბრუნებას“.

შემდეგ ამხ. ვალენსკი ეხება საკავშირო სასოფლო სამეურნეო გამოფენის მნიშვნელობას; აღნიშნავს საბჭოთა ქვეყნების გლეხების გამოფხიზლებას, თუ რამდენად იგრძნეს მათ თავისი ძალა: გლეხმა იგრძნო თავისი ძალა.

„გლეხი არა თუ არ დაუბრუნებს მემამულეებს მიწას, არამედ არც არაფერს გადაიხდის მის მაგიერ რომელიმე ვალდებულებების მიხედვით“.

ჩვენი სასოფლო მეურნეობა წინ მიიწევს. მას დიდი მომავალი აქვს ჩვენი გლეხობა სავსებით ემხრობა საბჭოთა ხელისუფლებას. გლეხი უკვე დარწმუნებულია, მას სჯერა, რომ მემამულეს მიწა არასოდეს არ დაუბრუნდება და იმედით, რომ მის ნაოფლარს მას ვერავინ წაართმევს, ის განაგრძობს გულდასმით მუშაობას.

კომინტერნის და პროფინტერნის მოწოდება ყველა ქვეყნის მუშებისა და მუშა ქალებისადმი.

კომინტერნმა და პროფინტერნმა მიმართეს ყველა ქვეყნის მუშებს და მუშა ქალებს შემდეგ მოწოდებით:

გერმანიის მშრომელი ხალხი უდიდეს განსაცდელშია.

მუშათა კლასი და გერმანიის მთელი მშრომელი ხალხი იმყოფება უდიდეს განსაცდელში. საფრანგეთის იმპერიალიზმის ჯარებმა დაიჭირეს რურის ოლქი და ჩააყენეს რურის პროლეტარიატი აუტანელ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში. ოკუპაციით დაუკავებელ გერმანიაში იზრდება ეკონომიური ანარხია. პროლეტარიატის მდგომარეობა თან და თან უარესდება. სოციალ-დემოკრატიის ბელადების და პროფკავშირების ბიუროკრატიის ღონისძიებათა მიუხედავად, გერმანიის პროლეტარიატი აღსდგა და გაფიცვათა ტალღებმა ჩამოაგდეს კუნოს მთავრობა. მისი ადგილი დაიჭირა შტრეზემანის და გილფერდინგის მთავრობამ, რომელიც არის მთავრობა ბურჟუაზიის და სოციალ-დემოკრატების კოალიციისა, რომელიც იმედებს იძლეოდა შეემსუბუქებია მუშათა კლასის მდგომარეობა, მაგრამ პირველ ყოვლისა მან დაითხოვა ფაბრიკა-ქარხნების ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც მხოლოდ შეეძლო პროლეტარიატის სტიქიური მოძრაობის გაერთიანება, თავიდან აეშორებია ანარხია და ტყუილ-უბრალო შეტაკებები.

კაპიტალის ორგანიზაციული თავდასხმა გერმანიის მუშათა კლასზე.

ამავე დროს ორგანიზაციული კაპიტალი იწყებს მუშათა კლასზე თავდასხმას. პროტესტის ნიშნად ის იმუქრება ქარხნების დახურვით და უნდა ამით გამოიწვიოს მუშების აღშფოთება და დაიწყოს მასთან ბძოლა მანამ, სანამ მუშები მოასწრებდნენ თავიანთ რიგების მოწესრიგებას. იარაღდებიან ფაშისტების ბანდები, რომ ხელსაყრელ მომენტში, თავიდან ფეხამდე შეიარაღებულებმა თავს დაესხენ უიარაღო გერმანიის პროლეტარიატს.

გერმანიის პროლეტარიატი, უეჭველია, მიიღებს ზომებს უბედურების თავიდან ასაცილებლად. თან და თანობით იზრდება მუშათა მასები, რომელნიც ისწრაფვიან კომუნისტური პარტიის რიგებისაკენ. უმრავლესი ნაწილი გადის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, მეორე ნაწილი თხოულობს ბოლო მოეღოს გამცემლურ პოლიტიკას. სოციალ-დემოკრატიული პარტიის გარღვევით ინგრევა მნიშვნელოვანი დასაყრდნობი გერმანიის ბურჟუაზიისა. გერმანიის მდგომარეობა თან და თან მწვავდება, გერმანია ეგებება რევოლიუციას.

გერმანიის პროლეტარიატის წინაალმდეგ სდგას ანტანტის ბურჟუაზია.

გერმანიის პროლეტარიატს გომავალ ბრძოლაში მოუხდება შეტაკება არა მარტო გერმანიის ბურჟუაზიასთან. მას ემუქრება საშიშროება, რომ მაშინ, როცა მას თავს დაესხმება გერმანიის ბურჟუაზია, გადამწყვეტი ბრძოლის დროს ანტანტის ბურჟუაზია დაეხმარება გერმანიის ბურჟუაზიას. საფრანგეთი, პოლონეთი, ჩეხო-სლავია შეეცდებიან დაიკავონ გერმანია თავისი ჯარებით, რომ დაარბიონ მუშათა კლასი. ემუქრება საშიშროება აგრეთვე ინგლისის იმპერიალიზმის მხრივაც: ბლოკადის საშვალებით შეეცდებიან გადასჭრან გზა გერმანიაში პურის შეზიდვისათვის.

მოწოდება მთელ ქვეყნის პროლეტარიატის გერმანიის მუშების დახმარებისათვის.

ამხანაგებო პროლეტარებო ყველა ქვეყნისა! ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ ხელი გაუწოდოთ დასახმარებლად გერმანიის პროლეტარიატს. მასიური კრებების საშვალებით ყურადღება მიაქციეთ საერთაშორისო პროლეტარიატის მდგომარეობისათვის. შეაგროვეთ ფულები გაფიცული გერმანელ მუშების სასარგებლოდ და აგრეთვე პროლეტარულ მებრძოლ ორგანიზაციებისათვის გამოიტანეთ ქუჩაში ლოზუნგები: „ზავი გერმანიის მშრომელი ხალხისათვის, „ხელები შორს პროლეტარულ გერმანიისაგან!“ შორს საოკუპაციო ჯარები რეინის პროვინციიდან და საარისა და რურის ოლქებიდან!“

აუხსენით საფრანგეთის, ბელგიის და ინგლისის ჯარისკაცებს, რომ აძლევენ რა ნებას, რომ გამოყენებულ იქნან ისინი ჯალათებად გერმანიის პროლეტარიატის წინააღმდეგ, ამით ისინი წელს უმაგრებენ თავიანთ ექსპლოატატორებს.

რევოლიუციონურ მუშებზე და კომუნისტებზე საფრანგეთის, ბელგიის, ინგლისის, პოლონეთის და ჩეხო-სლავიისა დაკისრებულია დიდი ისტორიული ამოცანა—გამოჰყონ ამ სახელმწიფოების ბურჟუაზია, გერმანის მებრძოლ პროლეტარიატისაგან. ყველა ქვეყნის პროლეტარებს ვალად აქვთ მატერიალური დახმარება აღმოუჩინონ თავის გერმანელ ძმებს.

გერმანიის ამბები.

აუცილებელია გერმანიის პროლეტარიატისათვის დახმარების პრაქტიკული ზომების შეთანხმებით განხილვა.

ჩვენ წინადადებას ვიძლევით შეთანხმებულად განვიხილოთ ის პრაქტიკული ზომები, რომელნიც შესაძლებელი იქნება და უნდა იქნეს მიღებული პროლეტარიატის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გერმანიის რევოლიუციონურ პროლეტარიატის დასახმარებლად. ამისათვის წინადადებას გაძლევთ თქვენ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენთან ერთად საერთაშორისო თათბირში, რომელიც მოწვეულ იქნეს არა უგვიანეს 10 სექტემბრისა.

მუშათა მოძრაობას ვერ ჩააქრობენ.

სრულიად გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კომისიას, რომელიც პრუსიაში გარეკა ზევერინგმა, გადააქვს თავისი ბინა ტიურინგიაში. კომუნისტური გაზეთის „ნეიე ცეიტუნგის“ ცნობით, კომისია არც კი ფიქრობს შეაჩეროს მუშაობა, ვინაიდან უკანასკნელი ხანების ბრძოლებმა ნათელი გახადეს, რომ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები არის ერთად ერთი ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია შექმნას ერთიანი პროლეტარული ფრონტი მოსალოდნელ ბრძოლების გამო, ფაბრიკა ქარხნების კომიტეტები უნდა იქნეს გაფართოებული და მოეწყოს უკეთესად.

სხვა და სხვა ამბები.

შვეიცარია.

ფაშისტების ახალი ორგანიზაცია.

შვეიცარიაში აღმოჩნდა ახალი ფაშისტური ორგანიზაცია — „ჯვაროსანთა სტრაჟა“, რომელიც მიზნად ისახავს მემარცხენე პარტიების წინაამდეგ ბრძოლას.

კათოლიკური კონსერვატიული პარტიის ორგანო „ფატერლანდი“-ც კი გამოდის წინაამდეგ ახალი ორგანიზაციისა და აცხადებს, რომ უკანასკნელის გამოჩენა ამწვავებს ბრძოლას დამქირავებელთა და მუშათა შორის და აძლიერებს შოვინიზმსა და რეაქციას.

გავლენა ახალი ორგანიზაციისა ასეულის შეტევითი ბრძოლაზედ.

წინა წერილში, როდესაც ვსცდილობდი ახალი ორგანიზაციის მიზეზის გამოკვლევას, მე განზრახ დავდექ იარაღზედ.

იმ გარემოების გარდა, რომ იარაღის განვითარებას მე ვსთვლი უმთავრეს მიზეზად, მე მინდოდა ხაზი გამესვა იმ გარემოებისათვის, რომ ახალმა ორგანიზაციამ, სასროლი და მკვეთრი იარაღის დაშორების გამო, დაჰყო ქვეითა ჯარი ორ ნაწილად, ორ ძალად,—ერთი ძალა—სასროლი, მეორე—მკვეთრი.

ეს გარემოება ჩვენ კარგად უნდა შევიგნოთ და გავითვალისწინოთ ყოველთვის, როდესაც გვინდა რომელიმე ტაქტიკურ საკითხის გაშუქება.

ამის გარდა, ერთს გარემოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება: რთული კონსტრუქცია იარაღისა, მოითხოვს რთულ ორგანიზაციასაც. სირთულე კი, სხვათა შორის—იმაში გამოიხატება, რომ თუ ორგანიზაციას დააკლდა პატარა ნაწილიც კი, იგი ან არ იმუშავებს ან და იმუშავებს ცუდათ.

ამის გამო უნდა მივიღოთ ის დებულება, რომ ის ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება ასეთ რთულ იარაღს, როგორიც ტყვიამფრქვევია, უცვლელი, დაუყოფელი ორგანიზმია.

ასეთი ორგანიზმი ქვეითა ჯარში არის ჯგუფი. ბრძოლის ველზედ უშრალო წითელ არმიელიდან დაწყებული—მეთაურამდე, ერთის აზრით უნდა იყვეს გამსჭვალული: რაც შეიძლება მეტი ზიანი მიაყენოს მტერს, თვითონ კი უვნებლად დარჩეს. ეს არის დედა აზრი, რომელიც აძლევს შინაარს ჯარის ყოველ მოქმედებას ბრძოლის ველზედ.

რაკი ეს ზოგადი დებულებანი წამოვაყენეთ, შევიძლიან გადავიდეთ ასეულის შეტევით ბრძოლაზედ და გამოვარკვიოთ, რა გავლენას იქონიებს მასზედ ახალი ორგანიზაცია.

უეჭველია, სავსებით ეს საკითხი გამოირკვევა მხოლოდ ბრძოლის ველზედ, მაგრამ, ამ ჟამადაც შეგვიძლიან სადი მსჯელობით და სამხედრო ხელოვნების წარსულის სარგებლობით, ერთგვარ დასკვნამდე მივედით, რომელიც სარჩულად დაედება ჩვენ მომზადებას.

ყველამ კარგათ ვიცით, რომ ასეულის შეტევითი ბრძოლაში განირჩევა ოთხი მომენტი: პირველი—მტერთან დაახლოვება, მეორე სროლით შეტევა, მესამე—ხიშტით კვეთება და მეოთხე—წართმეულ პოზიციის გამაგრება.

პირველ და მეოთხე მომენტების შესახებ მე დღეს არაფერს ვიტყვი.

დღეს შევეცდები გამოვარკვიო, რა ცვლილება შეიტანა ახალმა ორგანიზაციამ ასეულის სროლით შეტევის და ხიშტის კვეთების დროს.

სროლით შეტევისას უეჭველია, აქტიურ მოქმედებას აწარმოებს ის ნაწილი ქვეითა ჯარისა, რომელიც შეიარაღებულია განვითარებულ სასროლ იარაღით ე. ი. ტყვიამფრქვევით და ავტომატით, ისინი იწყებენ ბრძოლას და აწარმოებენ მას ხიშტით კვეთებამდე.

რას აკეთებს ამ დროს ის ნაწილი ქვეითა ჯარისა, რომელსაც მკვეთრი იარაღი აქვს ე. ი. ვინც შეიარაღებულია ხიშტიანი თოფით? რასაკვირველია, თუ საჭირო იქნება, ან კიდევ შეძლება აქვს დიდი ზიანი მიაყენოს მტერს, ეს ნაწილიც სარგებლობს [illegible] ნაკლებად განვითარებულ—სასროლ იარაღით, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთავარი დანიშნულება ამ ნაწილისა ცივი იარაღით კვეთებაა, და უნდა ვეცადოთ, იმ დრომდე შევინახოთ შეძლებისდაგვარად მთლიანი, მხნე და დაუღალავი ეს ნაწილი, ვიდრე კვეთებაზედ მივალთ, რომ კვეთება ძლიერი იყოს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ცივი იარაღი სწყვეტს ბოლოს და ბოლოს ბრძოლის ბედ-იღბალს.

ხიშტით კვეთებისას პირიქით მთავარი მომქმედი ძალა ის ნაწილია, რომელსაც მკვეთრი იარაღი აქვს ე. ი. ვინც შეიარაღებულია ხიშტიანი თოფით. სასროლ იარაღით აღჭურვილი კი კვეთების ადგილის ახლოს მზათ უნდა იყვეს ყოველ წამს მიეშველოს მკვეთრს ძალას, გამარჯვებული იქნება ეს თუ დამარცხებული.

აი ის მთავარი დებულებანი, რომელიც უნდა დაედოს სარჩულად და კრიტერიუმად ასეულის ყოველივე მოქმედებას სროლის შეტევის თუ ხიშტით კვეთების დროს.

აქ ნათლად გამოსჭვივის ცვლილება, რომელიც ახალმა ორგანიზაციამ შეიტანა. უწინ ასეულის თავს ხელში ჰყავდა ერთგვარი ძალა და მთელს ასეულს ერთნაირად ეხელმძღვანელა, ეხლა კი მას ხელში ჰყავს ორი ძალა სხვა და სხვა სახისა და ორი ძალა [illegible] ხელმძღვანელობას, გინდა რომ მხედველობაში არ მივიღოთ ის გარემოება, რომ ეხლა ასეული გაცილებით ძლიერია ვიდრე უწინ.

რასაკვირველია სინამდვილეში ეს ორი ძალა ისე მკაფიოდ არ გაიყოფება, როგორც ჩვენ აქ თეორიულად გავყავით, მაგრამ მაინც ყველა მეთაურმა უნდა გაარჩიოს ეს ორი ძალა ერთი-მეორესაგან და კარგად შეისწავლოს მათი თვისებანი, რომ უკეთესად გამოიყენოს იგი. ძველად ბერძნები და რომაელნი კარგად არჩევდენ ამ ორ ძალას და ხერხიანათ სარგებლობდნენ კიდეც ამითი. ასე რომში ბრძოლას იწყებდნენ ველიტები, რომელნიც შეარაღებულნი იყვნენ სასროლ იარაღით, მათ მხარს უჭერდნენ ფრთებზედ დაყენებულ სატყორცნი იარაღები, როდესაც მტერს შეარყევდნენ, ველიტები უკან იხევდნენ და მტერზედ უშვებდნენ გასტაცებს, პრინციპებს და ტრიარებს, რომელნიც შეიარაღებულნი იყვნენ მკვეთრი იარაღით და მანამდე ველიტების უკან იდგნენ. ასეთი გამოყენებით მათ შექმნეს უძლეველი ლეგიონები ჩვენც შევ სწავლოთ ახალი ორგანიზაცია, მის ხერხიანად გამოყენება და ჩვენც შევქმნით ძლიერ წითელ ჯარს.

ლევ. გარსიაშვილი.

ყოფილ მენშევიკების სრ. საქართველოს ყრილობა.

(მესამე სხდომა. 28 აგვისტო საღამო)

სხდომა იწყება საღამოს 7 საათზე. პირველ სიტყვას ამბობს ამხ. **ლუკაშევიჩი**.

საინტერესოა აქ გავიხსენოთ, თუ როგორ უყურებდენ წინეთ ჩვენი ხელმძღვანელები კომუნისტურ პარტიას.

მე გავახსენებთ აქ ერთ მაგალითს: ერთ-ერთ სხდომაზე ჟორდანიამ განაცხადა: **„ბოლშევიზმი თუ დამარცხდა, ეს იქნება მთელი მსოფლიო პროლეტარიატის დამარცხებაო“**. პირველ რაიონის კრებაზე აკ. ჩხენკელს ჩვენმა ამხანაგებმა შეკითხვა მისცეს: როგორ შეხვდებით თქვენ ბოლშევიკებს, ვინიცობაა შემოგვიტიონო. მან პირდაპირ განაცხადა; არამც და არამც ომს არ გავაჩაღებთ. ორ ძმათა შორის სისხლს არ დავღვრითო. აი რას ამბობდენ ჩვენი ხელმძღვანელები. ჩვენ ყველაფერი გვწამდა. მაგრამ საქმით სულ სხვას აკეთებდენ ისინი.

ჩვენ მიერ სისხლით შეღებილი წითელი დროშა ჩამოხსნეს და მის მაგივრად სამფეროვანი დროშა ააფრიალეს.

მაგრამ ეს არაფერი, დაიღვარა სისხლი თუ არა? გვპირდებოდნენ: ძმათა შორის სისხლის ღვრა არ მოხდებაო. მაგრამ სისხლი მაინც დაიღვარა. დაიღვარა მუშათა კლასის სისხლი.

ეს იყო მიზეზი, რომ მენშევიკური პარტია თან და თან იხრწნებოდა.

ჩვენ ბედნიერი ვართ რომ ჩვენ ზურგზე გადაიარა ამ საკითხებმა.

და ყველაფრის შემდეგ მოვედით აქ და ვამბობთ დღეს: ჩვენ მისალმებად მიგვაჩნია პროლეტარიატის დიქტატურა.

ბრმა იარაღით შეიძლება ერთი ან ორი მუშა გამოიყენოს არალეგალურმა ცეკამ. მაგრამ მუშათა კლასს ის ვეღარ მოატყუებს.

მენშევიკური პარტიის საუკეთესო ნაწილმა ზურგი შეაქცია თავის მატყუარა ბელადებს.

ამხ ნაგებო! მართალია ჩვენ მივდევდით ჩვენ ბელადებს მაგრამ დღეიდან თქვენთან ვართ, არა ფარისევლურად, არამედ ნამდვილ ძმურის გულით.

მიხა ცხაკაიას სიტყვა.

ამხ. მიხა ცხაკაია ესალმება ყრილობას რ. კ. პ. და კომინტერნის სახელით.

ულოცავს ყრილობას სწორ გზაზე შედგომას და წითელ დროშის ქვეშ დადგომას. ახასიათებს მენშევიკების პოლიტიკას თებერვლის და ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, მათ ღალატს მუშათა კლასის ინტერესებისათვის, რომელმაც მიიყვანა ისინი გაკოტრებამდე.

ამხ. ცხაკაიას შემდეგ ლაპარაკობენ ამხ. ამხ. მახარაძე, თედეიშვილი და ფარნიევი.

ფარნიევის სიტყვა.

ჩვენ მრავალი საყვედური გვესმის აქ სხვა და სხვა მხრივ.

აქ მიხა ცხაკაიამ გვითხრა, მხიარული ვარ, რომ კვლავ უბრუნდებით თქვენ ამხანაგებსო. მე უნდა გითხრათ ჩვენ არავითარ ოჯახში არ შევდივართ. ჩვენ არ გავსულვართ პარტიიდან. ჩვენ ვართ ჩვენ პარტიაში, ეს არის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რომლის მიზანი იყო სოციალიზმის განხორციელება.

საქართველოში 17 წლამდე ჩვენი პარტიის წევრთა რიცხვი არ აღემატებოდა 15.000 კაცს. ამ რიცხვს რომ გამოვაკლოთ გადასახლებულთა ციხეებში მჯდომთა, ევროპაში გაქცეულთა და ომში დაღუპულთა რიცხვი სულ დარჩება დაახლოვებით 12—13 ათასამდე კაცი. აი ეს 12-13 ათასი კაცი დღეს ჩვენთან არის. მაშასადამე პარტიიდან ჩვენ კი არ გავსულვართ, არამედ არალეგალურ ცეკას მიმდევრები, თუ ყავს ასეთები ცხადია ჩვენ არავისთვის არ გვიღალატია აგრეთვე თუ ვინმემ უღალატა ეს არა ლეგალურმა ცეკამ უღალატა მუშებს, იმ მუშებს, რომელთა წარმომადგენლებიც არიან აქ შეკრებილნი. არავის არავითარი ძალდატანება არ მოუხდენია ჩვენზე, ყოველი აქ მოსული წარმომადგენელი თავის ნებით და სურვილით არის მოსული. ისინი აირჩიეს მუშებმა თავიანთ წარმომადგენლებად და მოვიდენ კიდევაც.

შემდეგ ამხ. ფარნიევი ახასიათებს მენშევიკებისა და კომუნისტების მოქმედებას, წარსულში მომხდარ შეცდომებს და მოუწოდებს ყრილობას დადგეს მესამე ინტერნაციონალის გზაზე, რომელსაც მუშათა კლასი გამარჯვებისაკენ მიყავს.

ამხანაგ ფარნიევის შემდეგ ლაპარაკობს **მარტინოვი, ვარსამაშვილი** და სხვები.

სხდომა იხურება საღამოს 10 საათზე.

მოიშვა „მენშევიზმი“ და „ბოლშევიზმი“ და მათი მოქმედება. მოხსენებამ სოფლის გლეხობაში და წითელ არმიელებში და წითელ არმიელებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

შემდეგ დადგმული იქმნა პიესა „ბატონი და ყმა“ და „პარტია-პურტია“. წარმოდგენით ხალხი კმაყოფილი დარჩა, მთელი შემოსავალი საღამოსი გადაიდო საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ.

სამხკორი **მაჩიტაძე.**

პარტიული ცხოვრება.

საკავშირო ასეულში.

კვირას 25 აგვისტოს ს. № შესდგა იქ მყოფ საკავშირო ასეულის წითელ-არმიელთა კომუჯრედის და ადგილობრივ კომუნისტების და თანამგრძნობთა კრება. დასმული იყო საკითხები საჰაერო ფლოტის კვირეული და ოქროს მომგებიან სესხის მნიშვნელობის შესახებ: პირველ საკითხზედ მოხსენება გააკეთა ამხ. კობიძემ რომელმაც მკაფიოთ აუხსნა კრებას მნიშვნელობა ფლოტის და მათი ვალი მოხსენების შემდეგ იქნა არჩეული კომისია 5 კაცისაგან რომელსაც დაევალა მოეწყოს 25-26-27 აგვისტოს ფულის შეგროვება, საღამო წარმოდგენები და სხვა მეორე საკითხზედ მოხსენება გააკეთა ამხ. შარაბენიძემ რის შემდეგ იქნა გამოტანილი შესაფერი რეზოლიუცია.

ჩხატაურელი.

სარწმუნოება და ღმერთები.

(გაგრძელება იხ. „წ. არ. № 353,)

იყო ასეთი დაჯერებაც, თითქოს სული მუდამ ტრიალობდეს იქ, სადაც სხეულს გაეყარა, თუ სასურველი იყო ცოცხალთათვის სულის ახლო დარჩენა, თოკით შეაერთებდენ სამარეს და საცხოვრებელ ბინას, წინაამდეგ შემთხვევაში, ადამიანის ხორცს დასწვავდენ, რომ სუნით სულები დაეფრთხოთ. გავრცელებული იყო მკვდრის წინაშე შიში, მაგალითად, ამერიკაში ველურები მკვდრის სახელს არ ახსენებდენ სიკვდილის შიშის გამო. აქ ველურებში ისეთი შიშია სიკვდილის, რომ არ უნდათ სიკვდილის დროს დაინახო და მძიმე ავადმყოფს ცოცხლადვე ასაფლავებენ, რაც ნივთები დარჩება, რაგინდ ძვირფასი არ იყოს, დასწვავენ და ხელს არ ახლებენ. გლოვა კი უცნაური იციან: თმებს იგლეჯენ, ჰკვიან და სხეულს იჩეხენ გლოვის ნიშნად.

ველურებში, ხშირია, როცა მიცვალებულის თავის ქალას იტოვებენ და როგორც წმინდა სულის სხეული, შთამომავლობით გადასცემენ მომავალ თაობას. საზოგადოდ ველურებში ტირილი და გლოვა იციან თავგანწირული, აქ გლოვის გარეგანი გამოხატულება უცნაურ სახეს ღებულობს. ტირილის და გლოვის დროს თავის დაზოგვა და შებრალება ცოდვად ითვლება. ჩვეულებრივია გლოვის დროს გვემით სისხლის ღვრა და თავის დასახიჩრება: თითოს მოჭრა, ან მოწვა, საფეთქლის დაშანთვა, ან სხვა ჭრილობის მიღება, არვის აკვირვებს!

ზოგიერთ ქვეყნებში, დაქორწინების დროსვე მოიბამს ქალი ყელზე საბედისწერო თოკს და, თუ ქმარი მასზე ადრე გარდაიცვალა, თოკზე დაეკიდება და ეწამება. ან კიდევ საგვემ იარაღს მოიმზადებენ, ქორწილის დღიდანვე; ჩააგებენ ჯოხში ნადირის კბილს და იგვემენ სხეულს, სისხლიდან იცლებიან. ტირილის და გლოვის დროს გამოუხმობენ გარდაცვალებულის სულს, რომ დასახიჩრებული წარუდგენ და დაამშვიდონ! არა ნაკლებ გლოვობენ მამაკაცებიც: არის შემთხვევა, როცა ქმარი წვერს იჭრის და ცოლს კუბოში ატანს. ასაკში მოსულთათვის ცოდვად ითვლება უცოლოდ ან გაუთხოვრად სიკვდილი.

ბავშვებსა და ახალგაზრდებს პირველყოფილ ერებში ეშინიათ არა მარტო სიკვდილის, არამედ ეშინიათ და სძულთ სიბერე. პირველ ყოფილი ადამიანი დიდის მწუხარებით ეგებება ჭაღარის გაჩენას და სახის დაჭკნობა ნიშანია სიკვდილის მოახლოვების. პირველ-ყოფილ ადამიანისათვის სიბერეს დასდევს რაღაც გამოუცნობი საშიში გრძნობა. ამიტომ აუარებელი მაგალითია, პირველ-ყოფილ საზოგადოებაში მოხუცთა ხელოვნური მკვლელობის. ბევრ ადგილას ცოცხლად ჰმარხავენ თავიანთ მოხუცებს და დაავადებულებს.

საზოგადოდ, მკვდარი სხეულის პატრონობა და ჭირისუფლობა დამოკიდებულია სარწმუნოებაზე. მრავალგვარი გლოვა იყო პირველყოფილ საზოგადოებაში, რომელნიც გამოხატავდნენ შეხედულებას სიკვდილ სიცოცხლეზე. სამარესაც ისე ეპყრობოდენ, როგორც უკარნახებდა სარწმუნოება. ზოგს სამარე ეჯავრებოდა და სრულიად სტოვებდა იმ ადგილს, სადაც მახლობელს ასაფლავებდა. ზოგი ყვავილებით და სურნელოვანი ფოთლებით მოაწყობდა ან ძეგლსაც დაადგამდა. ზოგიც ცეცხლს გააჩაღებდა სამარეზე, რომ დაობლებული სული დაეფრთხო.

ყველა ამის შემდეგ ცხადია ჩვენთვის, რომ პირველყოფილი ადამიანის სარწმუნოება გაუგებრობაზეა აგებული. იქ ღმერთები ჯალათებია და სარწმუნოება შიში.

გ. ბაბურაული

ჩვენს წითელ ჯარში

ექსკურსია.

კვირას, 18 აგვისტოს, ცალკე საკავშირო ასეულის სამხკომის—ამხ. გ. კობიძის ინიციატივით მოეწყო ექსკურსია ამავე ასეულის სამოსწავლო ჯგუფისა ქ. კოჯორში.

დილის ოთხ საათზე, სოფელ წყნეთიდან ავყევით დიდ ტყიან გორებს, ასე, რიცხვით სამოცი კაცი.

ჩვენი მწყობრი სიმღერა ტანს აშმუშვნიებდა დილის კოცნის მოლოდინში მყოფს, პირსაბანად გამზადებულ ბუნებას... ავედით მწვერვალზე, სადაც დავათვალიერეთ ერთი ისტორიული ნაშთი,—ძველი ეკლესია და შევისვენეთ.

ამ შესვენების დროს ჩვენი სამხკომი გვიხსნიდა დარვინიზმს, ბუნების წარმოშობას...

ამ დროს აღმოსავლეთით მზემ ამოანათა და თავისი ცხოველმყოფელი სხივთა ალერსით შემოგვეკინა... ახმაურდნენ მოუსვენარი ფრინველები... გულმა სიამით ამოიგმინა... ხელთუქმნელ მხატვრის, — ბუნების მიერ აკეკლუცებული არე-მარე გვატყვევებდა თავისი სიტურფით...

რვა საათზე ავიშალნეთ და დავეშვით კოჯრისაკენ, სადაც მილიციის უფროსმა მოგვცა ბინა ბაღში.

შევისვენეთ და მოვაწყეთ სამზარეულო, რომელიც თანა გვქონდა წამოღებული.

შემდეგ სამხკომმა წაგვიყვანა იმ მიდამოების დასათვალიერებლად, სადაც სწარმოებდა ბრძოლა განწირულ მენშევიკების გვარდია—იუნკრებისა და განმათავისუფლებელ წითელ ჯარს შორის.

ავედით ქოჯორის ციხეზე. საიდანაც გადაიშალა ჩვენს თვალ წინ ბორჩალოს მიდამოები, სამხრეთის მთები და კუმისის მოლივლივე ტბა, ჩრდილოეთისაკენ კი, ყაზბეგის მწვერვალები მზის გვირგვინით [illegible]...

დავბრუნდით და დავათვალიერეთ ბავშვთა თავშესაფარი, სადაც მომავალი შრომის შვილები—კომუნის ყვავილები — შემოგვეხვივნენ ცნობის მოყვარეობით, რომლებთანაც კარგა ხანს ვიმუსაიფეთ.

ბოლოს გაიმართა სადილი. აღმასკომის თავმჯდომარე—ამხ. ჩხეტიამ გადმოგვცა ოცი მილიონი მანეთი, რომლითაც სამხკომმა გვიყიდა ნახევარ-ნახევარი ბოთლი ღვინო და... აჰიჰყინდა ჩვენი ზურნა, გაისმა ტაში და მოჰყვა ცეკვა-თამაში. გაჩაღდა ამხანაგური სადღეგრძელოები, სიტყვები საბჭოთა ქვეყნების დევიზზე, ჩვენს წითელ ჯარზე. სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ამხ. კობიძემ და კორინთელმა. მონაწილეობდნენ გლეხები და მოქალაქენი.

შემდეგ ნასიამოვნები გამოვემშვიდობეთ ყველას და გამოვსწიეთ სიმღერით წყნეთისკენ.

წითელ არმიელთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა და არ იცოდენ, როგორ გადაეხადნათ მადლობა ამხ. სამხკომისათვის.

ა. შ—ძე.

სამხ. სკოლის უმწ. გუნდში.

29 აგვისტოს შედგა ქართულ მეთაურთა სამხ. სკოლის უმწყობრო გუნდის კომკავშირის კრება, კრებას დაესწრენ ყველა წევრები, თავმჯდომარეობდა ამხ. როხვაძე. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები დასმული. 1) მოხსენება სარწმუნოებაზედ. 2) ჟურნალ-გაზეთების და წიგნების კითხვა წითელ არმიელებისათვის 3) საკონფლიქტო კომისიის არჩევა.

პირველი მოხსენება გააკეთა ამხ. ბ. [illegible]ძემ. მან [illegible] და ყურსათვის [illegible] სარწმუნოების საშუალებით თუ როგორ [illegible] მშრომელ ხალხს.

სარწმუნოება გამოგონილია მშრომელების დასამონავებლად. დღეს კი საბჭოთა ქვეყნებში მშრომელ ხალხს თვალი ეხილება, მან უკვე გაუსინჯა კბილი სამღვდელოებას და ზურგს აქცევს მას.

მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ჩხეიძე. ის აუცილებელ საჭიროთ თვლის ჟურნალ-გაზეთების და წიგნების წითელ არმიელთათვის წაკითხვას, რომელიც დიდ სარგებლობას მოუტანს წით. არმ. განვითარებას. კრებამ ერთხმად მიიღო რათა სისტემატიურად წარმოებდეს კითხვა წ. არმიელებისათვის, ამისათვის არჩეულ იქმნა სამი ამხანაგი რომელთაც დაევალა საქმის წესიერად მოგვარება.

საკონფლიქტო კომისიაში ერთხმათ იქმნა არჩეული ამხ. მაჩაიძე და როხვაძე. მათ დაევალათ მკაცრი ზომები მიიღონ წით. არმიელების შორის რაიმე უწესრიგობის და უთანასწორობის წინაამდეგ.

შემდეგ მდივანი კითხულობს წარსულ კრების ოქმს რომელიც იქმნა დამტკიცებული. უნდა აღინიშნოს რომ გუნდში სწარმოებს სისტემატიური მუშაობა.

ა. ჩხეიძე.

ჩვენ წითელ ჯარში.

მნიშვნელოვანი საღამო სოფ. № ში.

ა. წ. 28 აგვისტოს მოწყობილი იქმნა წარმოდგენა ცალკე საკავშირო ასეულის წ. ა. და უფშემადგენლობის მიერ.

წარმოდგენის დაწყებამდის მოხსენება გააკეთა ამხ. კობიძემ მენშევიზმის გახრწნის შესახებ, რომელმაც ნათლათ და გარკვევით დაახასიათა თუ როგორ და საიდან წარ-

ახალი ამბები

საბიბლიოთეკო კურსები წითელ არმიელთათვის.

10 სექტემბერს წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბთან გაიხსნება საბიბლიოთეკო კურსები, წითელარმიელთათვის.

გამოფენა „მკითხველთა მხეცობა“.

ცენტრალურ წითელ არმიელთა ბიბლიოთეკაში სექტემბერში გაიხსნება გამოფენა:

— „მკითხველთა მხეცობა“. გამოფენილი იქნება მკითხველების მიერ გაფუჭებული წიგნები,—რომელშიაც ამოხეულია სურათები, წახდენილია ყდა და დაბნეულია ფურცლები და სხვ. გამოფენას ექნება სააგიტაციო ხასიათი.

საბავშო სახლის გახსნა.

ქ. აღმასკომმა დაადგინა კოჯორში არსებული მირზოევისეული აგარაკი გადასცეს სახალხო განათლების განყოფილებას საბავშვო სახლის გასახსნელად.

შრომის კომისარიატის განმარტება.

ვინაიდან საქ. პროფკავშირთა ცირკულიარის № 4473—1923 წ.

4 აგვისტოდან გამოქვეყნებამ გამოიწვია გაუგებრობა და კონფლიქტები, შრომის კომისარიატმა დაადგინა: აღნიშნული ცირკულიარი არ გავრცელდეს 1923 წ. 1 იანვრიდან რაც შეეხება ხელფასის მიცემას იმ პირობებისათვის, რომელნიც სარგებლობენ მორიგი ან დამატებითი შვებულებით და აგრეთვე საბოლოო ანგარიშის გასწორების დროს კურსის დაწესებისას, იხელმძღვანელონ ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატის დადგენილებით, 3 აგვისტოდან 1923 წ. № 65.

წინადადება ყველა სახალხო კომისარიატებს.

საქ სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ყველა სახალხო კომისარიატებს თავის დროზე წარმოადგინონ მათდამი დაქვემდებარებულ ყველა დაწესებულებების ანგარიშები.

შრომის ბირჟის შუამდგომლობა.

ტფილისის შრომის ბირჟამ შუამდგომლობა აღძრა შრომის სახ. კომისარიატის წინაშე, რათა მიიღოს სათანადო ზომები აღნიშნულ შრომის ბირჟასთან სამილიციო სადარაჯოს გახსნის შესახებ.

7.000 მან. (ოქროთი) გაფლანგვა.

სატრანსპორტო ტრიბუნალმა გაარჩია ბათომის საბარგო სადგურის მოლარის მ. აფრიდონიძის, ამავე სადგურის კანტორის მოხელის ესებუას და არტელის რწმუნებულის გენდზერძის საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ 7.000 მან. ოქროთი, გაფლანგვა. ტრიბუნალმა აფრიდონიძეს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა, ესებუას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, გენზეხიძეს—3 წლით დაპატიმრება. ამნისტიის ძალით აფრიდონიძეს სასჯელი შეეცვალა—10 წლის ციხით, დანარჩენებს სასჯელი შეუმცირდათ ორი მესამედით.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანის გაადვილების მიზნით, რომელიც უნდა შეგროვდეს ფულად, საგადასახადო კომისიამ განიზრახა დაარსოს სპეციალური კასა ფინანსთა სახალხო კომისარიატთან.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღისათვის.

ქალაქის აღმასკომმა, საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის დღის ჩასატარებლად, მისცა დახმარების სახით 300 მილიონი მანეთი, აღმასკომის კომკავშირის უჯრედს—100 მილიონი მან.

სამოსწავლო გადასახადი.

ქალაქის აღმასკომმა დაავალა განათლების განყოფილებას აღძრას სათანადო შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რომ შემოღებულ იქნას სამოსწავლო გადასახადი შრომის სკოლებში პირველ ოთხი წლის კურსის ზევით.

უმუშევართა დახმარების შესახებ.

სოციალურ დაზღვევის სასამართლოს მიერ გამომუშავებულია წესი უმუშევართა დახმარების შესახებ.

საგამომცემლო კოოპერატივი.

დაარსდა და ამ დღეებში იწყებს მოქმედებას ახალი საგამომცემლო კოოპერატივი „მწიგნობარი“. მისი მიზანია სახელმძღვანელო და სამეცნიერო წიგნების გამოცემა. დამაარსებელნი არიან: პროფ. ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ანდრია რაზმაძე და „კოოპერაციის“ რედაქტორი ი. გაბილაია.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის 352 ნომერში დეპეშებში გაიპარა შემდეგი შეცდომა სწერია: „5 ნოემბერს ლოზანაში დაიწყება ამხ. ვოროვსკის გასამართლება“—უნდა იყოს „ამხ. ვოროვსკის მკვლელის გასამართლება“.

სამხედრო საქმე

ჩასაფრება.

ჩასაფრება ჰქვიან ისეთ თავდასხმას, როდესაც ფარულ მდებარეობიდან თავს დაესხმიან მოძრაობაში მყოფ მოწინააღმდეგეს—ბერაებს, მარბიელებს, საბარგულო რაზმეულებს, ტყვეების ტრანსპორტებს, რკინისგზის მატარებლებს.

ჩვეულებრივად, ჩასაფრების მოწყობას არჩევენ ჩასაფრებაში შეტყუილებისაგან. უკანასკნელი განსაკუთრებულ ნაწილს მიენდობა ხოლმე, რომელმაც თავის მოქმედებით უნდა მოწინააღმდეგის ყურადღება გაარიდოს და იმ ალაგას შეიტყუოს, სადაც ჩასაფრებულია სპა. წარმატების პირობა იქნება მოწინააღმდეგის სუსტი მხრის ცოდნა, მაგ: თუ მოწინააღმდეგე საკმაო ზომებს არ ღებულობს დაცვისათვის, ან და თუ მას ნაკლები ძალა ჰყავს დაცვისათვის და ძიებისათვის.

ჩვეულებრივად, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, მცირე მოულოდნელ შეხვედრის დროს საკუთარ ფრთების მდგომარეობაზედ ყურადღებას ნაკლებად აქცევენ ხოლმე. დახევის დროს სწორედ ამით შეიძლება თავი დაახწიონ მოწინააღმდეგის შეუჩერებლივ დევნას.

მიმავალ ტყვეთა ტრანსპორტზე და საბარგულოების ხელში ჩასაგდებად ჩასაფრება გამოსადეგია.

ყურადღებისა და თვალდევნის შესუსტება მოსალოდნელია, როცა მოწინააღმდეგე იხევს უკან, და ჯარი თუ ჩასაფრებას წააწყდება, იგი რასაკვირველია მნიშვნელოვნათ დაზარალდება, მხოლოთ თუ ჯარი არ დაკარგავს სულიერ სიმაგრეს, იგი ყოველთვის იპოვის თავის შესაფერ ალაგს და თუ სპა მრავალ რიცხოვანია, მას შეუძლია გამოჰყოს ჯარის ნაწილი, გადაუხვიოს გზას და მიმართოს ჩასაფრებულ მტრის ფრთისაკენ. კლასიკური მაგალითი ჩასაფრებისა რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს იყო მოწყობილი ოსმალების მიერ 1870 წელში გუმბრ-ან. რუსის ერთი კორპუსი შევიდა არპაჩაის ვიწრო ხეობაში; ხეობაში მოჩქრიალებს მდინარე და აქეთ იქით ციცაბო კლდეებია. ოსმალებმა მთელი კორპუსი შეიტყუილეს ამ ხეობაში და როცა მთელმა ჯარმა დაიკავა ეს ხეობა, უცბად ზევიდან აუტეხეს სროლა და მთელი ჯარი ტყვეთ ჩაიგდეს. მაშინ საშინელი პანიკა შეიქმნა და ცამეტმა რუსის ღენერალმა ქუდმოგლეჯილი გამოჰქუსლეს თფილისისაკენ. იმ დროს გამოდიოდა ნიკო ნიკოლაძის გაზეთი „ობზორი„, სადაც მან გაამასხარავა რუსის ჯარის მეუფროსეთა უვიცობა და ხეპრეობა.

საერთოთ ჩასაფრებისათვის ყველაზედ უკეთესი ქვეითი ჯარია, ვინაიდან იგი უფრო ადვილად დაიმალება და მოულოდნელად შეუძლია ცეცხლის გაჩენა, ცხენოსანი ჯარისათვის დამალვა ძნელია, მხოლოდ მას სახიფათო შემთხვევაში სწრაფად შეუძლია დაიხიოს. არტილერია ზედმეტი ბარგი იქნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შორი მანძილიდან ცეცხლის გაჩენა იქნება საჭირო. არტილერიის შეშველება გამოდგება რკინის გზის მატარებელზედ თავდასხმის დროსაც.

გ. ბ.

მეცნიერება და ტეხნიკა

მარილი.

(გაგრძელება, იხილე „წითელ არმიელი“ № 352)

მარილიანი ტბები ყველა ქვეყნის ნაწილებში მოიპოვება. განსაკუთრებით ჩრდილო აფრიკაში და შუა აზიაში. რუსეთის სამხრეთ აღმოსავლეთი მეტად მდიდარია მლაშე ტბებით; ასტრახანის გუბერნიაში იმყოფება 700-დე პატარა და ორი მოზრდილი მარილიანი ტბა: ელტონის და ბასკუნჩაკის; პირველის სივრცე 20 ათას დესეტინას უდრის, მეორე —ორჯერ ნაკლებს. მიუხედავად ასეთი დიდი სივრცისა, ეს ტბები, როგორც მარილიან ტბების უმეტესობა, მეტად დაბლებია.

მაგალითად, ელტონის ტბის სიღრმე სამ მეოთხედ არშინს უდრის.

წინად ელტონის ტბა იძლეოდა დიდძალ მარილს, მაგრამ ბოლოს ბასკუნჩაკის ტბამ გადააჭარბა მას, რადგანაც ის შეერთებულ იქნა ვოლგასთან რკინის გზით.

აქ შოულობენ ყოველ წლიურად ცამეტ მილიონამდე ფუთ მარილს. ბასკუნჩაკი, როგორც ელტონის ტბა მარილის დიდ მარაგს შეიცავს: მხოლოდ ზემო ფენი შეიცავს 45-დე მილიონამდე ფუთს

ზაფხულობით მარილიანი ტბები, ისედაც დაბლები, უფრო მცირდებიან, გამოდის სქელი ხსნილი; ამ ხსნილიდან მარილი თან და თან ილექება ძირზე, რომელიც შეადგენს სისქით სამ ვერშოკიან ფენს. ეს ახალი მარილი იწოდება „ახალფენად“; ამ უკანასკნელს არ ამუშავებენ, რადგანაც მას მწარე გემო აქვს. იღებენ მარილს ძველი ფენიდან, რომელიც უფრო ქვეშ იმყოფება.

ასტრახანის მარილის ნაწილი მიდის თევზის დასამარილებლად ვოლგას სამრეწველოებში. ხოლო მეორე ნაწილი მდინარე ვოლგით—რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში. ყირიმის ტბებშიც იშოვება დიდძალი მარილი—ყოველ წლიურად 20 მილიონ ფუთამდე.

მარილი, რომელსაც იღებენ მლაშე ტბებიდან, აგრეთვე ზღვის მარილი, იწოდება „თვით დანალექად“.

პოულობენ აგრეთვე მარილს მარილიან წყაროებში.

ბევრ ადგილებში დედამიწის სიღრმიდან ამოდიან მარილიანი წყაროები, რომლებიც იძლევიან ეგრ. წოდებულ გამოსახარშ მარილს. თვით ეს წოდება გვიჩვენებს მისი შეძენის ხერხს, სახელდობრ: გამოხარშვის გზით.

როგორ ჩნდებიან ქვამარილის ფენები მიწაში?

„ასტრახანის გუბერნიაში მრავალი მლაშე ტბები ზაფხულობით შრებიან. ძირზე რჩება მარტო მარილი, რომელიც თან და თან მაგრდება.

გაივლიან მრავალი წლები და ტბის ადგილას გაჩნდება მარილის მაგარი ფენი, მიწით დაფარული. ამ რიგად, უეჭველია, წარმოიშვენ ქვამარილის მდიდარი ფენები ილეცის ახლოს. ოდესღაც, ძველად—აქ იყო დიდი მარილიანი ტბა. შემდეგ ის ამოშრა და დაიფარა მიწით. ამ რიგად, მრავალი დღევანდელი ტბები ამოშრებიან და გადაიქცევიან ქვამარილის ფენებად.

მაგრამ როგორ წარმოიშვნენ მლაშე ტბები?

დედამიწის წარსულიდან ჩვენ ვიცით, რომ ოდესღაც რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი დაფარული იყო ზღვით (აქ ნიადაგი შეიცავს ზღვის ცხოველების მრავალ ნიჟარებს გაჟღენთილია მარილით, რის გამოც ამ ადგილების ნიადაგი მარილგვარია) ზღვა ათასი წლების განმავლობაში გაჰქრა, მაგრამ შედარებით დაბლობ ადგილებში წარმოიშვა ტბები. ასე წარმოიშვნენ: ტბები ელტონი, ბასკუნჩაკი და სხვა; ასევე გაჩნდნენ კასპიის და არალის ზღვები.

ტბები, რომელთაც [illegible] მარილო წყლები, შრებიან და ილექება მარილი. ხშირად მარილიანი წყლები განცალკევებული არიან ზღვისაგან. პირველად ჩნდება გუბე, რომელიც გამოყოფილია ზღვისაგან ვიწრო სრუტეთი, უკანასკნელი მცირდება თან და თან, ჰქრება და ამრიგად ჩნდება ტბა.

ჩნდება აგრეთვე ტბები შემდეგ ნაირად: თუ მარილი ნარევ ნიადაგიან ადგილებზე ჩაღრმავებული ალაგი არის, იმ შემთხვევაში გაზაფხულის და წვიმის წყლები გზა და გზა ხსნიან მარილს, რომელიც ნიადაგში იმყოფება, ილექებიან ჩაღრმავებულებში და ამრიგად წარმოიშვებიან ტბები. მარილი, რომლებიც ნიადაგში იმყოფება ასაზრდოებს მრავალ მლაშე ტბებს, მაგალითად ტბები ელტონი და ბასკუნჩაკი იმიტომ არიან მდიდარი მარილით, რომ მუდმივად იღებენ ასეთებს გარშემო მყოფ მარილიან ნიადაგებიდან.

მარილს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში. რომ შევამციროთ ორგანიზმისთვის საჭირო მარილის მიცემა, ეს გამოიწვევს სერიოზულ ავადმყოფობას.

მარილის ხმარებას დიდი ადგილი აქვს ტეხნიკაში: მისგან აკეთებენ სოდას, ის იხმარება შუშეულობის და საპნის დამზადებაში.

მეჭურჭლეობის საქმეში მასალისაგან ამზადებენ შესალესს, ხოლო ქლორით, რომელსაც იძენენ მარილიდან, ათეთრებენ ქსოვილებს, ქაღალდს.

,,რაბ. პრავდა“ ლ.

[illegible]

აღმოსავლეთმაც იფეთქა

„თეირანში მოხდა უდიდესი დემონსტრაცია ინგლისის წინააღმდეგ მისი მზაკვრულ პოლიტიკის გამო აღმოსავლეთის ერებზე“.

დეპეშებიდან.

აღმოსავლეთსაც მოედო
რევოლიუციის ქარ-ცეცხლი!
და ველარავის იქრთამავს
ინგლისი ოქრო და ვერცხლით!..

მის მიერ დამონავებას
ვხედავთ რომ ბოლო ელება;
კმარა, რაც აღმოსავლეთი
უამრავ სისხლით შეღება.

იქრთამავდა ბეგებს და შაჰს,—
(სპარსეთს ჰფლობენ რომელნიც!)
რათა ჰყოლოდათ, მარადის,
მონურ უღელში მშრომელნი!

მაგრამ იქაც აღზდგა ხალხი!
შეუტია ამ შავ ურდოს;

აღარ აძლევენ ნებას, რომ
შემდეგში კვლავ გზა უმრუდოს!

და ინგლისი შეაშფოთა
ამა ბრძოლის ძახილმა;
შაჰმა შიშით დაიძახა:—
„ალლაჰ!“ სიმართლით ნამხილმა.

ან უნდა შეებას ინგლისს—
ხალხის ძახილს დაუჯეროს;
თუ არა და თავის ტახტსა
ნეკროლოგი დაუწეროს?

აღმოსავლეთი იღვიძებს—
ბრძოლის დროშები იშლება;
და „ანტანტის“ შავი კუბო
სწორედ აქედან ითლება!..

დაშნი

გაზეთის ფონდი

გაზეთ „წითელი არმიელი“-ს სასარგებლოდ შემოვიდა ქართულ დივიზიის **პოლიტ კურსანტებიდან 9.150** ათასი მანეთი.

უმცროსი მეთაურთა მოსამზადებელი სკოლის მე-3-მე ოცეულმა გამოუგზავნა 1.200 ათასი მანეთი.

გაზეთ „წითელ არმიელი“-ს სასარგებლოთ ვწირავ ჩემს ამ თვის ხვედრ პურის ფქვილს და წარსული თვის ერთ ფუთს და ექვს გირვანქას. მიიღეთ საკუჭნაოდან. კომუნ. სალამით ს. ლექვთაძე.

დაიკარგა დროებითი პარტიული ბილეთი № 5744. ახალკაცი მიხეილი ლევანის-ძის სახელზე გაცემული ჩაითვალოს გაუქმებულად

დაიკარგა ცალკე საკავშირო ასეულის წითელ არმ. პარტიული ბილეთი № 5732. ვლადიმერი ხვთისიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი — ლ. ჩანტლაძე